K 4598/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3217
5439

ალი თანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეში

სახელგამი
1926

899.962.(-)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო თარიშვილი

მზეში

Ч 4.598/2

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა.
ტფილისი—1926

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპეც-2000
შემოწმებულია

ტფილისი — ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. 1-ლი სტამბა, პლეხ. პრ. № 91.

23/VI—26. მთავარლიტი № 941. შეკვ. № 8011/1310. დაიბ. 2000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზეში

მე შენზე ვფიქრობ დროგამოშვებით,
როცა უქოლგოთ დავდივარ მზეში.
ჩვენ სასტიკ სურვილს არ მოვეშვებით
და მიალერსებ, როგორც რამზესი.

შენ ასცდი მთვარის ოქროს უზანგებს,
თვალებს იმონებს შუადღის ნისლი.
მზე მოაქვთ სინზე ფერწასულ ზანგებს,
ვნებიან განცდებს არ შემოვიხსნი.

დაგხვდები მუდამ, ვით ჯიოკონდა,
ცისფერ კოცნებით ავივსებ უბეს,
ჩვენ ერთხელ თეთრი ოცნება გვქონდა
და სიმხურვალით ვიწვდიდით ღრუბელს.

ფოთლები ნაზად უკრავენ თარეშს.
შენი ხელები მოვლენ ირმებათ,
სიცოცხლეს ვერვინ ვერ დაამთავრებს,
უთუოდ ყველა გადაირევა.

სიზმარი მწველი იქნება თალხათ,
უხდება სახეს ღიმილი მკაცრი,
დარჩება უთქმელ სიტყვების ტალღა
და ფიქრი შენზე ჩამოსაკაწრი.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმის ხელებს

მე იმის ხელებს შევადარებ მინდვრის ზამბახებს,
მოხრილ წამწამებს ულიმიან ანემონები.
ვეტრფი ვნებების შეთქმულებას და ამბოხებას,
თვით ფერმკრთალ სიკვდილს ათრთოლებით დავემონები

შუადღის ალზე ცა ეხვევა გირლიანდებათ,
ცისფერზე ვფიქრობ, ცრემლიანი, მე, განუწყვეტლივ,
მთვარის ქორწილი მზის ლოდინში დაგვიანდება,
სანთლისფერ დილას გაქანებს საღამოს ეტლი.

ატყდება ქარი საოცარი იდუმალებით,
ტყეს მწვანე წარბებს ჩამოამტვრევს, ტყეს გაახელებს.
მე გაბრაზებულ მზის აჩრდილებს დავემალები
და ფოთლებ-შუა დავინახავ თოვლივით ხელებს.

1922.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსის ფალავანი

შენი წამწამები კიდევ მაკოცებენ,
დარდებს გააცილებს ვნების ქარავანი,
დამფრთხალ სონეტებით ფარდა იკეცება
და ხარ პოეტებში ლექსის ფალავანი.

ძვირფას ქიშმირივით ყოფნა კვლავ იშლება,
ტუჩებს დამახვედრებ მუდამ მხიარული.
დამთვრალ ქუთუთოებს ოქროს კლავიშებათ
ცხელათ უალერსებს თვალი დახურული.

აღარ მასვენებენ ძველი რვეულები,
თვალებს გამიშტერებს ჩუმი სიქალწულე,
მაგრამ შენ მაკოცებ არაჩვეულებრივ,
როგორც მტევნებიდან კაბა საქორწილო.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმოზა სახრჩობელით

მიწისფერ თვალებს გავახელ ნელა,
ფერმკრთალ ტუჩებით დავკოცნი ყვავილს,
უცნაურ ხმებით მეწვევა ლხენა
და მომინდება ფერები ყავის.

ჰო, მე ის ვნახე. ის იყო, მართლა,
თითქოს ჯეირნებს ზვერავდა მინდვრათ.
ჰო... იმან ხელი არ ჩამომართვა
და მოლოდინი ისევ დაიმტვრა.

ყველანი ჩვენსკენ დინჯად მოდიან,
მე მას აუწერ მკერდისფერ ატამს,
(მომაგონდება ლედი გოდივა)
ის მზითვად იმედს არ გამომატანს.

და მწუხარება ამძიმებს ხელებს,
მოწყენით მომცემს ხელში მიმოზას
და თან უსიტყვოდ დაასახელებს,
რომ გული ჩემთვის არ შეიმოსა.

ტუჩებს მოუნდათ პასუხი ვრცელი,
მაგრამ მიმოზა მიმზერდა გველათ
და ძველი წიგნის ორი ფურცელი
მას მოვუმზადე მე სახრჩობელათ.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენს მდიდარ ღიმილს .

ირიბ წარბებით მოხაზულან ლურჯი თვალები.
გრძნეულ ზმანებას მეგობრობენ თაფლისფერ ღამით.
ცისფერ ლარნაკში ენთებიან მზის მაშხალები.
გრძნობებს ათრობენ უპასუხო ტრფობის ფელგამით.
ნუ ატირდები ვერცხლის ცრემლით! ოხ, უნდა რითმე
ჩუმი ნაღველი მოვაშორო ფერმკრთალ სიმძიმილს.
ნუ შეატოკებ ოქროს წამწამს! გთხოვ გადარითმე,
მსურს აზარფეშით დავეწაფო შენს მდიდარ ღიმილს.
ნუ გაჯავრდები, თორემ შავად დავიჩითები,
ჩემი ოცნება, ჩემი გული ისე ჩუმია—
ვით არაბეთის უარშიო გლოვის მითები,
ვით სარკოფაგში დაღვენთილი სანთლის მუმია.
არა მპატრონობს არც ფერია, არც ტარტაროზი,
არ გამაჩნია თავსაფარი და ბინა არსად,
ახ! ნეტავ, მქონდეს ნატვრის თვალი ან ავგაროზი,
რომ მდიდარ ღიმილს გავყოლოდი მე შინაარსად.

1921.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიშაშვილს

შენს წიგნზე ასხმულს გადაკინძულს ლექსების ჯაგანს,
ტყვეთა ჰყავს გული, რომ გრძნობები გაანამყენოს,
არ გიყვარს ცრემლი და არც ეძებ სიცოცხლის საგანს,
გინდა ღიმილმა მზე დაჰფაროს, გადააყენოს.
სინდიყის სარკეთ აელვარებ სიტყვას ჭკვიანურს,
უმზითვო ფიქრებს სხვას უგზავნი მუდამ გირაოთ,
გაცვეთილ ჰანგზე არ აღიმებ თარს და ჭიანურს
გინდა რომ ლექსი დაედევნოს ღრუბლებს ირაოთ.
ზეცის კენწერო შენ დაჰღუნე, შენ დაიწოდე,
გეარშიყება ნარიყალა, კოხტა, საქები,
რას მოასწავებს შენი ყოფნა, ნეტავ ვიცოდე,
რომ მტრების შურით არა სჭკნები, არ ილაქები!..
შენ ყველა გეტრფის და გულშივე მალავენ თითქოს,
არა ხარ ფლიდი, მატყუარა და არც თილისმა,
თვით მტკვარსაც უნდა შენის ეშხით ცა შეიხვითქოს,
და შეგიყვაროს დაღონებულ ძველმა ტფილისმა.

1922.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენი წიგნი

ალერსით უხვი ხავერდის პირი,
თვალი ცისფერი, სახე ნარცისის,
დაუთვლელ ფიქრის სიტყვები ძვირი,
ვეტრფი მკრთალ ხელებს, მაგრამ არ იცის.

შორსა ვარ შენზე, მეხვევი დარდათ,
ცრემლით ვაშენებ სევდის აკლდამებს,
ვიგონებ ტფილისს, იხსნება ფარდა,
ველარ გავუძლებ, რავქნა აქ ღამეს.

ვიგონებ ელლეს „პატარას“ თარგმანს,
ღიმილს რომ ვსვამდით მარწყვის თასებით,
წარსულის ლანდი დღევანდელს არ ჰგავს
და ცა ელვარებს ვერცხლის თასმებით.

მარტო ვარ, მარტო, მტრედისფერ წიგნით
სიყვარულს ვატან ლექსებს პრობლემათ,
ოცნების ბორბალს შევყევი შიგნით
მე და ეს წიგნი დავრჩით ობლებათ.

მირზაანი. 1922

ფერმკრთალი სახე ·

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფერმკრთალი სახე. ლურჯი თვალები.
მე უშენობას ვერ გადავიტან,
ფიქრს აწვალებენ ამორძალები,
მსურს ყველაფერი გითხრა თავიდან:

არ მიყვარს თეთრი იასამანი,
ის გაგიჟებულ თვალებს ამირევს,
ჩემი ფეტიში—ლურჯი დამანი
შენს მოლოდინში გულს გადამილევს.

ჩვენ თუ ორთავეს გრძნობა დაგვნებდა,
დავწურავთ განცდებს, ვით მწიფე მტევანს—
ვნება ავისხათ ტანზე ჯაგნებათ
და წინ გაუსწროთ ადამს და ევას.

ზღვას ჩავეხლართოთ დაშლილ ზოლებათ
დღე ღამე ვკრიფოთ და ღამე დღისით,
გრძნობა ალერსით გაიზომება
და ვერ გახდება სხვა ჩვენი ღირსი.

თვალებში დარდი ჩალოგინდება
ამაკანკალებს დრო დასაშური,
და ორსევდიან ანდროგინებათ
ფიქრი დასჭკნება—მზე-ბუდეშური.

მაგრამ მე ცრემლი არ დამასველებს,
უხმო ლოდინით მოვირკალები
დაიბნა ხედვა, აღარ მასვენებს
ფერმკრთალი სახე, ლურჯი თვალები.

1922.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არავინ მოდის

გადმოიფინა ატმები ქარვის,
თეთრი თვალები გააღო მთვარემ.
სუნთქვა მწუხარე მომესმა ქარის
და ყოფნა წუთში გამოვიბარე.

ფიქრებმა სწრაფად იცვალეს ფერი,
თვალი მივანდე შორეულ ლოდინს.
ო, არსად არის თვალი ცისფერი—
არავინ მოდის, არავინ მოდის!..

დავტოვებ წიგნებს! დავტოვებ ოთახს!..
ტიტველ ფეხებით ვეხები მწვანეს,
(გარეთ ბალახებს წვეთები მორთავს)
ფოთლებმა დარდი გადამაცალეს.

ნიავი არხევს ბუჩქებში იებს,
ხელს ვერ შემახებს ვერვინ ამ ქვეყნათ.
მთვარე იფარებს ვერცხლის არშიებს,
სიკვდილის ჩონჩხზე უნდა დავემყნა.

მზეს დავაწყვეტავ სამეფო ქამრებს,
არ მეშინიან ქარის და შფოთის.
მხოლოდ ღიმილი ატმების ამრევს,
არავინ მოდის! არავინ მოდის!..

1922.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სურვილი შემოკლებით

მწუხარე ხელების მძიმე აბრეშუმი,
ფერმკრთალ ნარცისების თვალთა სიღარიბე.
არის შეყვარება მარტო შენს გარშემო,
ფიქრები დავაწყე, როგორც სიგარები.

ყურძენს ჩამოვკრეფავ მკერდებ დასიცხული,
ველი საოცრებას, როგორც ბედუინი,
უცბად გადაირბენს მარდი ასი ცხენი
და თმებს დამიკოცნის ნდომა გაბედული.

ვნებით შემოკლდება გზები გულისაკენ,
როგორ მიხარიან შენთან უმეტესათ!
მინდა აელვარდეს ოქროს კულისებით
მზე და სიხარული, როგორც პოეტსა.

1924.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილი უპასუხო

როგორც ჰაერი და სიზმარი მუდამ ხარ ჩუმი,
გრძელ წამწამებით სიყვარული იფარავს ვუალს,
შენი ალერსი დაქანცული არის ფარჩული,
ლია თვალებით დავაბარებ ყველასთან უარს.

ჩვენ ძლივს ვიპოვეთ ერთმანეთი, არვინ იცოდა,
წამი ძვირფასი გავაფრინეთ მთვარესთან მძევლათ,
დღეს შენც მიხვდები მოგონებამ არ დამიცადა
და შრიალებენ პასუხები, რომ იყო ძველათ.

ჰო, ჩემს ცელქობას შენ უწოდებ მგონია ღალატს,
თეთრი იები გაიშალა მწუხარე აზრთა.
ვფიცავ, შენს გარდა სხვა ჩემს ფიქრებს ვერ შემორკალავს,
ჩვენ სურვილებში დავამწყვდიეთ დღე ახალგაზრდა.

მზე. აბრეშუმის ქსოვილები. ცივი ალმასი.
შენ ყოველ ღამე ესიზმრები ჩემს ცეცხლის ხელებს,
მაგრამ სასტიკი სიჩუმე ხარ, როგორც არმაზი
და თმებგაშლილი ვეტოლები ტიტველა ხეებს.

1924.

K 4.598
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკო ფიროსმანი

მაყვლის ტოტებით ორღობე გრძელი.
მზით დაფარული პატარა სახლი.
ჯანსაღ ვენახში მწიფე ყურძენი.
ურმის ჭალებზე მოქნილი სახრე.

ზმორებით მიდის ხარი ყირმიზა.
ელტვიან ქვები სიცოცხლის მადანს.
მიწას ამძიმებს რქები ირმისა.
ლეღვის ფოთლები ვნებიან ადამს.

აღიმებს მკერდებს ცა უნაზესი:
ნიკო ფიროსმან და მირზაანი.
თვალები ბრწყინავს, ვით ოაზისი.
რონინობს სიტყვა, როგორც მიზანი.

საყდარი თეთრი. ქორწილი ღვინით.
მიმინო ცაში. ლეკური ჩქარი.
ხელადა სველი. ცხენი ჭიხვინით.
ამაყი ნება. ამაყი ქალი.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრაური ცისფერ თვალზე

თეატრი. სცენა. ელექტრონის სინათლე მკრთალი.
უცხო ზმანება აელვარებს გაყინულ სვეტებს.
ლოჟის სიღრმეში უდარდელი ცისფერი თვალი
ღიმილით ჰფანტავს მწუხარების თეთრ სილუეტებს.
იყო საღამო — სიხარულის მუნჯი ექსტაზი.
მე რა ვიცოდი, რომ თვალთაგან ცრემლს დავიდენდი,
სონეტის მსგავსად იცვლებოდი ჩუმი და ნაზი,
ხან დარბაისელს მაგონებდი, ხან იყავ დენდი.
მაგრამ დღეს გულში ასვენია ტრაური ცივი,
ფიქრი გაურბის მოგონების ხაზგასმულ ფურცლებს,
დაიმტვრა ცრემლად სიყვარულის ცისფერი მძივი
და ჩემს მომავალს ნოემბერიც ვეღარ გაუძლებს.
გრძნობას ველოდი, მაგრამ ზიზღიც კი არ მეღირსა,
უხმოდ დავშორდით ჩვენ ერთმანეთს, არვიცი რაზე,
ალბად, სიტყვები ვერ მოვნახეთ შესაფერისათ,
ეს იყო თეთრი მოჩვენება ყოფნის ეკრანზე,
ღიმილი ტუჩზე დამეკეცა, ვით გლოვის ნარმა
და ეხლა მინდა ქანდაკებათ მხოლოდ გადვიქცე,
სფინქსის თვალებში ჩამასვენოს უვნებო ქარმა,
რომ ჩემს გარშემო აღარ იყოს არც დრო, არც სივრცე.

1922.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გონდოლები ცაში

მარგარიტა ბარნაველს

ხრიზანტემები ავსებენ ლანგრებს
და გონდოლები დადიან ცაში.
მთვარე მოვერცხლილ კიბეებს ანგრევს,
ფიქრი ღრმავდება ფერების ცვლაში.

ცის დასავალი. უსაზღვრო სივრცე,
და მე, შორეულ აზრების ღმერთმა
გულში წამების გოლგოთა ვიგრძენ,
და სიხარული კვლავ ჩამომერთვა.

ო, მინდა ისე დაბნელდეს ირგვლივ,
რომ იფარებდეთ თვალებზე მერდინს,
მაშინ ამ ქვეყნად მხოლოდ მე ვივლი,
არ შეიხსნება ღინკილო მკერდის.

დრო დაიმონებს მზეს, მთვარეს, სივრცეს,
საკუთარ ღერბით გადიფრენს აზრი
და რომ განცდები ჯოჯოხეთს მივცე,
არ დამჭირდება მახვილი ბასრი.

შაგრამ სიცოცხლე არაფერს ამბობს,
არ მინდა დაფნა, არ მინდა ტაში.
ხრიზანტემები ავსებენ ალბომს
და გონდოლები დადიან ცაში.

1923

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოტრეტები

კრძალვით ვაკოცებ პოეზიის განიერ თვალებს,
ჩემს ველურ განცდებს სიხარული შემოევლება,
ვისწორებ, როგორც ოდალისკა ფერმკრთალ ტუალეტს
და სურვილები ენთებიან ცეცხლის ტევრებათ.
უცნაურ ფერის მწუხარება ქალწულურ შიშით,
სიჩუმის თეთრი კავალერი, სახე-წმინდანი,
უგზო თვალები დაფარული ყავისფერ ქვიშით,
ოქროს ჯვარიდან იყურება, ვით წინანდალი.
მოდის დაღლილი ქალდეადან წყვილი ცისფერი—
გრძელი თითები ანთებული პაპიროსებათ,
დამთვრალ შუადღის სომნამბული და წესიერი,
მტვრიან ქუჩების აშლილობით არ იმოსება.
ილვრება ლექსი ქვევრებიდან, როგორც კახური,
ჯიშიან ფიქრებს ააფეთქებს მდუღარე სისხლი.
მოდის ყამირის ჯანსაღობა ჯერ არ ნახული
და ანტონივით ძველი გვარის სიდარბაისლით.
ამაყი შუბლით გამოჩნდება პოეტი ცხელი,
დაჭრილ ქორივით აიფარებს სისხლიან ნარმას,
გამარჯვებული გაფრინდება შლეგიან ცხენით
და ჩამოანგრევს უნაზესი სიტყვების არმაზს.
ქალაქის იქით... ღამე... მტკვარი, პატარა ხიდი...
ცისფერ მკლავებზე პოეტების ფიქრი ავისხი.
ქალურ ლოდინში გაიშალა მზე ორხიდეა
და, მე ვიზრდები მოგონებით, როგორც ალვისხე.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექსცენტრიკა

ჩემს თეთრ გრიმასებს ჰფარავს ვუალი,
ცხელი მზე მინდა მეჭიროს ხელში.
თვალებში დადის სხვა სიმხურვალე,
სიხარულს ველი სიმწუხარეში.

დაგროვილ ცეცხლით გავუძლებ მყინვარს,
დავამტვრევ მწიფე ალუბლის ტოტებს,
ნაწვალებ ფიქრის სიგიჟე მიყვარს,
საღამოს დარდი ვერ ამაშფოთებს.

მე ვიცი მოვა ალერსის წვიმა,
მზისფერი ვაჟი, პორტუგალელი,
ოქროს ბეჭდები ძირს ჩამოცვივა
და შეშინდება ვინმე გამვლელი.

დავუნთე ალი ტუჩების ნაპრალს,
მძიმდება ყოფნა, ვით დეკამერონ.
მსურს ვუთხრა ყველას, მტევნებით დამთვრალს,
რომ ვნება წელზე შემოიკერონ.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლორნეტით.

ყოველთვის ვკოცნი შენს ქართულ სახელს,
უდარდელ ხელებს ვშინჯავ ლორნეტით.
დღეს სულ სხვა ხმებმა დამატუსაღეს
და აღარ მახსოვს რიცხვი თორმეტი.

ბევრი მიიღებს შავგვრემან სალამს,
ჩემს მუქ შეხედვას ბევრს დაუზოგავ,
უცნაურება სახეს დამალავს,
სისხლის ზოლები გაჩნდება ზოგან.

მოედო თითებს ვნებების ცეცხლი,
ცხელ მკლავებს უნდა მიწას გაეკრას,
მე არ მეყოფა ერთი სიცოცხლე
და არც გავყვები უმზეო ეკრანს.

მთვარის პროფილით მოკვდა ნარრაბო
ვერ შეაშინა სალომე ელდამ,
და მეც არ მინდა თვალი დანაბო,
რომ სინამდვილე გვიცდიდეს ყველგან.

ჩვენ სიმწუხარე თავიდან აგვცდა,
მოგველოდება ღმერთი ეროსი,
ტანზედ მეხვევა მდიდარი განცდა
და სურნელება საქართველოსი.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილის მაგივრად

სიზმარი ძველი დავტოვე განზე.
მახარებს პირი პატარა კახის;
შევცვალე ფიქრი მე Lorigan-ზე
და სიხარული ფერმკრთალი სახის.

მზე მომეკიდა ხელებზე ძლიერ,
დამძიმდა თეთრი აკიდოები,
მე შენ სიჩუმეს დავენაძლიე,
ვით ალექსანდრე მაკედონელი.

ვაზის სურნელით სავსეა ზვარი,
შენ არ მოდიხარ გიაცინტებით.
მინდა უჩუმრად დავრეკო ზარი,
ლოდინი რჩება, მაინც ვინთები.

შენ დაჰკოცნიდი მხოლოდ ნესტოებს,
არ დაიჯერებ, როგორ მოგელი
და ვემზგავსები ისევ ჩემს ტოლებს,
დავწვები მზეზე, მეხვევა გველი.

მე ისე მინდა დამღალოს ვნებამ,
შეხვედრის სიცხე კვლავ განმეორდეს,
სიბრაზე სხეულს შემოევლება
და არ ვიწამებ ქალწულთა ორდენს.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სილუეტები

სიყვარული აღარ განმეორდება,
გულს გიშრები შემოერტყა მარაოთ,
შუა-ღამის მგლოვიარე რიდება.
მარმარილოს გაყინული თვალები
მხიურ ელვათ ველარ მოურიგდება.
მარმარილოს გაყინული თვალები...

ქარს გაჰყვება გაზაფხულის ხუმრობა,
დასჭკნებიან ტუჩზე ყარამფილები,
მზე მოკვდება, გული დაიხურება.
ფიქრი მტევნათ ჩამოწყდება სიტყვებში,
ცას მიწისკენ მოსწყინდება ყურება,
მზე მოკვდება, გული დაიხურება.

სივრცეს სიბრძნე მოეხვევა ქირმანათ,
კვლავ ოცნება ქალის სევდას დაფარავს,
და ვნებების ღვინისფერი ნირვანა
ხრიზანტემათ გაიშლება სარკეში.
კვლავ ოცნება ქალის სევდას დაფარავს
და სიცოცხლეს მწუხარება დაფერავს.

1922.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქამელეონი

ლურჯი ზოლები თვალებს გარშემო,
პაპიროსები და მენუეტი.
მიყვარს ქუთუთოს ვიწრო არშია
ფერმკრთალ ატმების ალერსი მეტი.

გახსნიან მალე ვერცხლისფერ ყუთებს
და სარკეები მშინჯავენ კიდევ,
ის მალალ კედელს თავს მიაყუდებს,
მე გულზე ჯვარი ჩამოვიკიდე.

არ ვიცი, მგონი ეს იყო მაშინ
ბასამნები ჰკოცნიდნენ ლარნაკს,
მაგრამ დავხურე ქოლგა წვიმაში
და სახელები არც ერთი არ მაქვს.

არ ვიცი ეხლა გძულვარ, თუ მიცდი
თუ ჩემზე აზრი გამოიცვალე,
აკრძალულ სურვილს ბევრჯერ დავიწვდი
და გახარება იქნება მწვანე.

მე გულს უვადოთ ვერავის მივცემ,
აქ ყველაფერი იცვლება ხშირათ,
და სიტყვებშიაც არ არის სივრცე,
ყველა სიცხადე შენს ოთახშია.

1924.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უსათაურო.

ჩემში მოვარდა მზის ნიაღვარი,
კახეთის ვნება, ვაზის ამბოხი,
მაგრამ გულში მაქვს მძიმე ნაღველი
და ვილუნები, როგორც ზამბახი.

ხელებს სიჩუმე შეეხო მკაცრი,
ვით ირმის ნუკრი ტოტს გამოშვერილს,
დამდევს სიზმარი შემოსატაძრი
და სიკვდილიც კი ველარ მიშველის.

გაიშლის აზრი ცისფერ ნაწნავებს,
ამიყვანს დარდი მაღალ ციხეზე,
უშენო ყოფნა ისევ მაწვალებს
და მახსოვს როგორ მაკოცე ხელზე.

შუადღის მზეზე ვლოცულობ შენთვის,
ღიმილს გინახავ მე კარბუნკულით,
მწვავს სიმხურვალე ცეცხლიან შანთის
წერილს გიგზავნი სასტიკი გულით.

მე ვარ ყამირი გაუტეხავი
და მიწას სიცხე არ მოაკლდება,
რადგან შეხვედრის სიტყვათა ხვავი
ჩემი კოცნისგან მოვარაყდება.

1926.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდემდის

თითები დაჩხვლიტეს
მაყვლის კუნწულებმა,
ფერმკრთალი ატმები ჩავიწყე უბეში,
ჩიტები უვლიან
ჩვენს ვიწრო მოედანს,
მზე დამალულია
ყველაფერს მოიტანს.
არვიცი როდემდის,
როდემდის გიცადო,
აივსო ვნებებით მკერდების ხეობა,
სურვილთა ციცაბო
ალერსის ბურანში,
შენ რომ მოსულიყავ
არ დაირხეოდა.
არ მინდა აზარფეშდაცლილი
შეხვედრა კოცნის ბელგათ,
მე უნდა მომედოს ტანზე
სულ სხვა სიყვარულის ელდა.
სურვილთა ციცაბო
ალერსის ბურანში,
შენ რომ მოსულიყავ
არ დაირხეოდა,
არვიცი როდემდის,
როდემდის გიცადო,
აივსო ვნებებით მკერდების ხეობა.

1925.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უზურში

შევალ ვენახში, დავირბენ ვაზებს,
შენი წერილი მინდა აქ იდოს,
სიტყვა მიასწრებს ფიქრს დარბევაზე
და რქაწითლისას ავჭრი აკიდოს.

და ვცდილობ ღამე დროს გამოვაკლო,
დავდივარ, მინდა ალერსი ძალზე;
ცხელ სურვილს დაჰყავს მზე იკლი-ბაკლოთ,
ჭრელ გველის ქერქსა ვპოულობ გზაზე.

დაიდგამს ლექსი ფიქრთა უნაგირს,
იმედი გარბის, ვით სირაქლემა.
მაშინებს სევდა დათვის ბუნაგის
და მომავალზე ხელის აქნევა.

მზე სუსხავს ალვის ტიტველ კენწეროს,
ჯვარს იწერს ჩემზე შუადღის ბური
და ალბათ სადმე უნდა ეწეროს,
რომ ყველას მოსწონს თავისებური.

ვენახის თავში ჰკაფავენ კვინელს,
მე მზესუმზირას ვარჩევ მარაოთ
და საათებმაც დაიგვიანეს
თითქოს მტევნებში ჩაიმალაო.

დავკრეფავ ლოდინს, ვით ქამასოკოს,
ამედევნება ელამი გრილო,
სიბნელემ ცრემლი გამოიზოგოს,
დღეს უნდა ღამე ჩამოვანგრიო.

1925

სიკვდილი ლოდინით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზეს ნატრულობენ გიაცინტები
და ჩემი სუნთქვა უეცარ მოსვლას,
მე სიყვარულით ვერ დაგცილდები
და ფიქრი სხეულს გადაიმოსავს.

წელლია მთვარე—ღამის ნოქარი,
სიზმარს დაეცა ნაზი გვირილა,
ცამ ყვითელ თაგვებს გაუღო კარი,
სურვილმა ყოფნა გადაგვირია.

ჩამოჭკნა დარდი, როგორც ზაფრანა,
დანგრეულ ღიმილს შეჰყურებს სარკე,
ოცნება კლდეზე გადასაფრენი
ჩემს გულში დარჩა მზესავით ცალკე.

გზა სიმწუხარით არის მორთული,
სიცოცხლეს ვუცდი დიდიხანია,
როგორც პატარა სპილოს ხორთუმი
მე მზის ამოსვლაც არ მიხარიან.

ლოდინი ფიქრით ვერ დაიშრიტა,
ისევ მარტო ვარ, როგორც კუნძული,
მაქვს თეთრი დარდი ცისფერ გიშრიდან
მკერდზე მტევნები გადაკინძული.

დრო გატიტვლდება ცრემლთა მოდენით
თვალებს აანთებს ალერსის მზევა,
და თითებს დაღლილს ამდენ ლოდინით
ალბათ, სიკვდილი გადაესევა.

1925

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირბადით

ატარებ მუდამ ყავის ტანსაცმელს,
სიჩუმე გშვენის, ვით მატიანე.
მოველი შენგან სასტიკ განსაცდელს,
მაშინებს ყოფნა ფიქრმეტიანი.

ხშირად დარდებიც არის ხანგრძლივათ,
თვალთ დაცილება, მოკლე ბოდიში.
მაგრამ სურვილმა კიდეც დამძლია
მე, ცისფერების თეთრ მოლოდინში.

დღე შეიმოსა ნაქვრივალ ფერით,
სიტყვა გაექცა ღიმილის შოლტებს,
სახე პირბადით, როგორც ვამპირი,
უეცრად მინდა სიზმარს დაშორდეს.

ფიქრმა დამღალა უბოროტესმა,
ალერსით მოვალ ნაგულისხმევი,
და ცხელი სუნთქვით ვიცი როდისმე
მკაცრ სიყვარულში მე გავისხლები.

ყარამფილები დაჰფარავს სხეულს,
ბედნიერ კოცნას გავატანთ მზითევს,
შენ ჩამოიცლი ხსოვნას სხვისეულს
და სიხარული ჩვენ აგვაზვირთებს.

1923.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეთრი მძივები

ვერ გაექცევა დღე ბინდის სირცხვილს,
ცა გაიხსნება, ვით სახარება,
ვიცი შეტყობა ბედნიერ რიცხვის,
გულში ნაფიქრის დასახელება.

ვირთვები ზოგჯერ ლალით და მარჯნით,
ჩემს სურვილს, ნეტავ, ვინ დაიმონებს?..
მთვარე ამოვა ცისფერ ყავარჯნით,
დაისხამს ღამე ფერმკრთალ ლიმონებს.

და ძილი იტყვის მძიმე სამძიმარს,
ვით წამწამებზე დამდნარი თოვლი
და მე კი ერთი დარდი ჩამძირავს,
როგორც ქვის სარკე ზღვაზე ნაპოვნი.

მითხარ, თუ ჩემთან შეხვედრა გნებავს
სხვის მონაცემი არ მინდა გული,
ცხელ უდაბნოში გავყვები ვნებას
შენი ფიქრისგან ალმოდებული.

1925

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს ტოლებს

ვიცი რომ მზითვად
არ მომცემენ ვეფხვისტყაოსანს,
არც წასაღებათ
დაჭეცავენ ქირმანის შალებს,
არც ქართულ კაბას
ჩამაცმევენ ჯვარის საწერათ,
არც ვერცხლის ჭამარს
მომავლებენ დარდიან წელზე.
ცაში ოთახი განათდება იტპონურათ,
ბედნიერებას მომილოცავთ უცხო კილოზე,
მრავალ წერილებს გამაყოლებთ გზის საპოვნელათ,
მრავალ მოკითხვას დაუხვდები, ვით მკვდარ მიმოზებს.
დავიმალები
სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში
დიდი იქნება აღტაცება მზეგამართული,
უხვი კოცნები, ვით კახეთში ღვინის მარნები
და სადღეგრძელოს მოიტაცებს
სიტყვა ქართული.
ნამჯისფერ ფრჩხილებს დაამძიმებს მთვრალი ჰაერი,
გულის პასუხი ყარამფილებს ველარ დაუნოსავს
და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი,
რადგან მზითევში არ მომცემენ ვეფხვისტყაოსანს.

1926.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუჯი

შევხვდით ერთმანეთს, როგორც ქარაგმა
სიონის ზარის ჩამონარეკზე,
გზა აგვირია უცხო ალაგმა,
გავყეთ გულიდან გაქცეულ ლექსებს.

მომქონდა შენთვის ყაყაჩო კალთით,
უბით სურვილი უპირატესი.
მთა იდგა ცაზე, როგორც იყალთო,
ხმა მაღელვებდა ფერდანათესი

იყო დამწვარი მზისგან აყალო,
შენ სიცხადეში არავის გვანდი,
იყო გაშლილი კოცნათა კალო,
ვით კაბის ქობა შემოსაბლანდი.

ათრობდა ხსოვნას სახელი ქუჯი.
(ეს მოგონება ხშირად დამზვერავს)
ვიყავ მოღუნულ ხესავით მუნჯი,
ვერ გავუძელით გულთა ნამზერალს.

დამაქვს დარდები მთების ოდენა
(შენი სიჩუმე მიყვარს ძალიან),
დაუკოცნავი მოკვდა ლოდინი,
და სხვა ფიქრისთვის არა მცალიან.

1926

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი:

	გვ.
სიხარული	5
ცისფერი თვალი	6
მზეში	7
იმის ხელებს	8
ლექსის ფალავანი	9
მიმოზა სახრჩობელით	10
შენს მდიდარ ღიმილს	11
გრიშაშვილს	12
შენი წიგნი	13
ფერმკრთალი სახე	14
არავინ მოდის	15
სურვილი შემოკლებით	16
წერილი უპასუხო	17
ნიკო ფიროსმანი	18
ტრაური ცისფერ თვალზე	19
გონდოლები ცაში	20
პორტრეტები	21
ექსცენტრიკა	22
ლორნეტით	23
წერილის მაგივრად	24

სილუეტები 25
ქამელეონი 26
უსათაურო 27
როდემდის 28
უზურში 29
სიკვდილი ლოდინით 30
პირბადით 31
თეთრი მძივები 32
ჩემს ტოლებს 33
ქუჯი 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ორი აბაზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა